პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა,
21 სექტემბერი,
1958 წელი
№ 113 (1283)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-15 წელი.

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ფრონფაქმოძრაობის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

რუმინეთის ღია ჩემპიონატი

დამთავრდა რუმინეთის ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპორტსმენებიც. შეჯიბრებამ საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა. საკმარისია ითქვას, რომ ჩემპიონატის პროცესში გაუმჯობესებულ იქნა 18 ეროვნული რეკორდი.

სიმაღლეზე ხტომაში ჩეხ ლანსკისთან და ევროპის ჩემპიონთან შვედალთან ერთად პირველობისათვის იბრძოდა თბილისელი შავლაყაძე. პირველი ადგილი მოიპოვა ლანსკიმ — 2,08 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა დალი—2,04 მ, ხოლო მესამეზე — შავლაყაძე — 2 მ.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები: ვაჟები — 100 მ ვალტერი (გფრ) — 10,8, 800 მ იაჩეკი (პოლონეთი) — 1.50,6, 5.000 მ. გრეჩესკუ (რუმინეთი) — 14.24,8. 400 მ. თარჯრბენი საველი (რუმინეთი) — 52,1, 3.000 მ. დაბრკოლებებით ვარგა (უნგრეთი)— 8.52,4, სიგრძე აუგა (გდრ) — 7,27, ჭოკი პროისგერი (გდრ) — 4,40, ბირთვი გრიგალკა (სსრკ) — 17,08, 4×100 მ. პოლონეთი — 41,9, 20 კმ. სიარული ბაბოე (რუმინეთი) — 1:33.27,0. ბადრო ბალტუშნიკასი (სსრკ) — 53,75, შუბი ოვჩინიკოვი (სსრკ) — 75,20.

ქალები — 100 მ. ბლომჰოფი (ჰოლანდია) — 12,1, 200 მ. მაიერი (გდრ) — 24,4, 800 მ. დუმიტრიუ — 2.13,0. სიგრძე რაინალდე (ავსტრია) — 5,88, ბადრო მიულერი (გდრ) — 50,97. თარჯრბენი 80 მ. ეიბერლე (გფრ) — 10,9, სიმაღლე ბალაში (რუმინეთი) — 1,78.

სულ შეჯიბრების პროცესში საბჭოთა მძლეოსნებმა მოიპოვეს 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

ჩემპიონობისათვის იბრძვის ორი გუნდი

სტოკჰოლმში დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოსა და ევროპის პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. საყოველთაო ყურადღების ცენტრშია ამერიკის შერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა ორთაბრძოლა. მჩატე წონაში ოქროს მედალს ჰყავდა ორი მთავარი პრეტენდენტი ჩ. ვინჩი (აშშ) და ვ. სტოგოვი (სსრკ).

პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში სტოგოვმა 2,5 კილოგრამით გაუსწრო ამერიკელს. ვინჩიმ აჭიმა 105 კილოგრამი, სტოგოვმა 107,5. საგრძნობლად დაწინაურდა საბჭოთა ძალოსანი აკვრაში. მან დაძლია 130 კილოგრამი, ხოლო ვინჩიმ ბრძოლა შეწყვიტა 122,5 კილოგრამზე. სტოგოვმა სამჭიდში მოაგროვა 342,5 კილოგრამი და მოიპოვა ოქროს მედალი. ამერიკელი ვინჩი დარჩა მეორე ადგილზე — 327,5. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ირანელ ს. სომბულის — 312 კილოგრამი.

ქვემსუბუქ წონაში პირველობისათვის იბრძოდნენ ამერიკელი ი. ბერგერი და საბჭოთა ძალოსანი ე. მინაევი. აჭიმვა მეტოქეებმა დაიწყეს 110 კილოგრამით და ეს წონა შედარებით იოლად დაძლიეს. 117,5 კილოგრამზე დაამთავრა შეჯიბრება საბჭოთა შტანგისტმა. ბერგერის საბოლოო შედეგი აჭიმვაში 115 კილოგრამი იყო.

ატაცში ამ ორ მთავარ ფავორიტს მიემატა იტალიელი ს. მანირონი და პოლონელი მ. ზელინსკი. ამერიკელმა, საბჭოთა და იტალიელმა ძალოსანმა სამივე ცდა 110 კილოგრამის დაძლევას მოანდომეს და ბრძოლა ამ შედეგზე დაამთავრეს. ზელინსკიმ, რომელმაც აჭიმვაში ნულოვანი შეფასება მიიღო, სცადა მსოფლიო რეკორდის დამყარება და მოითხოვა 112,5 კილოგრამი. პოლონელის ცდა წარმატებით დამთავრდა.

ოქროს მედლისათვის ბრძოლის ბედი მესამე მოძრაობამ, აკვრამ გადაწყვიტა. აქ ბრწყინვალედ გამოვიდა ამერიკელი შტანგისტი. მან დაძლია რა 147,5 კილოგრამი, დამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი და დაიკავა პირველი ადგილი ამჭიდის ჯამში — 372,5 კილოგრამი. აღსანიშნავია, რომ ბერგერის შედეგი სამჭიდის ჯამშიც ახალი მსოფლიო რეკორდია. მინაევმა კლასიკური სამჭიდის ჯამში დააგროვა 362,5 კილოგრამი, დაიკავა მეორე ადგილი და გაიმეორა ძველი მსოფლიო რეკორდი.

მსუბუქ წონაში ამერიკელებს არ გამოუყვანიათ ძალოსანი. საბჭოთა სპორტსმენის ვ. ბუშუევის უპირატესობა ამ წონითს კატეგორიაში აშკარა იყო. აჭიმვაში ბუშუევმა თანმიმდევრულად დასძლია 115,5, 122,5 და ბოლოს 125 კილოგრამი. ატაცში საბჭოთა ძალოსანმა აჩვენა 117,5 კილოგრამი, ხოლო აკვრაში — 147,5. ამრიგად, ბუშუევმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 390 კილოგრამი და მოიპოვა ორი ოქროს მედალი — ერთი მსოფლიოს, ხოლო მეორე ევროპის ჩემპიონისა.

ძველი მეტოქეები ტომი კონო და ფედორ ბოგდანოვსკი (ქვესაშუალო წონა) სტოკჰოლმშიც მთავარი კონკურენტები იყვნენ. აჭიმვაში 130 კილოგრამი ორთავე ძალოსანმა იოლად დასძლია. მომდევნო წონის 135 კილოგრამის აღებას ბოგდანოვსკი ანდომებს ორ ცდას, მაგრამ უშედეგოდ, კონო კი კვლავ იოლად ძლევს 135 კილოგრამს. ამერიკელი ითხოვს წონის გაზრდას (137,5 კგ), მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევს.

ატაცში ბოგდანოვსკიმ დაამყარა 127 კილოგრამზე. კონომ კი დასძლია რა 130 კილოგრამი, მოითხოვა, შტანგაზე სარეკორდო წონის 133,5 კგ. დადება. ამერიკელი ძალოსანის ცდა წარმატებით დამთავრდა. 28 წლის ტომი, კონომ კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი მოიპოვა — გაუმჯობესა რა საბჭოთა ძალოსნის ი. დუგანოვის მიღწევა 500 გრამით.

ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. კონომ სამჭიდის ჯამში დააგროვა 430 კგ (ახალი მსოფლიო რეკორდი) და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

საკავშირო ნახევარფინალები

გათუმი

8 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. მეორე ტურის გადადებულ პარტიაში ლებედევამ მოუგო ვენდროვას, სამაგიეროდ ვენდროვამ დაამარცხა (მეხუთე ტურის პარტიაში) სუსლინა, თავის მხრივ სუსლინამ ერთი ქულა მოიპოვა მეექვსე ტურის გადადებულ პარტიაში ლებედევასთან. ლაუბერტე ყაიმზე შეუთანხმდა კარტანაიტეს. ვენდროვამ მეორე გამარჯვება მოიპოვა მეშვიდე ტურის გადადებულ პარტიაში ლაუბერტესთან. ჩაიკოვსკაია-ვოიცეკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მერვე ტურის გადადებული პარტიებიდან დამთავრდა ორი: რიგელმა ლაუბერტემ მოუგო სუსლინას, ხოლო კარტანაიტემ (ვილნიუსი) — ვოიცეკს.

მეცხრე ტურში დამთავრდა 5 პარტია. გათამაშების ლიდერმა ტიხომიროვამ სძლია ლებედევას წინააღმდეგობას და გაიმარჯვა. რთულ ბრძოლაში ჩაიკოვსკაიამ ძლიერი იერიშით შექმნა გამსვლელი პაიკი და აიძულა ვიტკოვსკაია დანებებოდა. გაფრინდაშვილმა ლაუბერტესთან შეხვედრაში კარგად დაიკავა საკონტროლო პუნქტები და მოიპოვა გამარჯვება. სუსლინამ წააგო შადურასთან, ხოლო კარტანაიტემ მოუგო ლიაპუნოვას.

მეათე ტურში არასახარბიელოდ წარიმართა ლიდერების მატჩები. ტიხომიროვამ წააგო კაუშილაიტესთან, ხოლო გაფრინდაშვილმა და ჩაიკოვსკაიამ პარტიები გადადეს შადურასთან და სტრანდსტრემთან, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს არ ყოფნით გაფრინდაშვილს — ორი პაიკი, ჩაიკოვსკაიას — ხარისხი.

ვიტკოვსკაია-კარტანაიტეს, ვოიცეკ-სუსლინასა და ვენდროვა-ლიაპუნოვას შეხვედრები დამთავრდა პირველების გამარჯვებით.

თ. გიორგაძე,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

როსტოვი

საქართველოს ჩემპიონ ბ. გურგენიძეს, რომელიც აშკარად არ არის ფორმაში, 8 ტურის შემდეგ მოგროვებული ჰქონდა მხოლოდ 2 ქულა. მაგრამ მეცხრე ტურში თეთრებით ეთამაშებოდა რა ლენინგრადელ შიშკინს, მან შესანიშნავ სტილში ჩაატარა პარტიის დაბოლოება და გაიმარჯვა. მეათე ტურში მის წინააღმდეგ გამოდიოდა სომხეთის ჩემპიონი მნაცაკანიანი. გურგენიძემ შავებით დასაწყისში მძიმე პოზიცია მიიღო, ერევანელი ოსტატობის კანდიდატი თანდათან ავიწროებდა მოწინააღმდეგეს. გურგენიძე თითქმის უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ სწორედ აქ შეამჩნია ლამაზი კომბინაცია, რომელიც გარდუვალ მარცხს უქადდა მოწინააღმდეგეს. ჩანაფიქრის ზუსტად განხორციელების შემდეგ გურგენიძემ კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

X ტურის შემდეგ აქ შეჯიბრებას ლიდერობენ: ბორისენკო, სპასკი, კროგიუსი (6,5 ქულა თვითეულს) და ნეიმეტდინოვი (6 ქულა 9 შესაძლებლიდან). გურგენიძეს აქვს 4 ქულა.

პოლტავა

ქალთა საკავშირო პირველობის პოლტავის ნახევარფინალურ ჯგუფში გათამაშებული 8 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობდნენ მოსკოველი ოსტატი იგნატიევა და სვერდლოვსკელი ფილანოვსკაია, რომლებსაც 5,5 ქულა აქვს თვითეულს. 5-5 ქულით III-IV ადგილზე არიან საქართველოს ჩემპიონი ტოგონიძე და რუსინკევიჩი, მალინოვას, დმიტრიევასა და გრიგორიევას აქვთ 4,5 ქულა თვითეულს.

ბაქო

აქ მერვე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა იუხტმანმა შიბაევთან შეხვედრაში. აბკაროვმა დამარცხა შიანოვსკი, პოლუგაევსკიმ — ნიკოლაევსკი. მუჩნიკი და ლომაია დამარცხდნენ არონინთან და ჟუხოვიცკისთან.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ტაიმანოვი და იუხტმანი, რომლებსაც 6,5 ქულა აქვთ თვითეულს, მომდევნო ადგილებზე არიან არონინი და ესტრინი (5,5 ქულა თვითეულს).

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და მ. ლაუბერტე თამაშის დროს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

„მაირანოს თასი“ გადაეცა საბჭოთა კალათბურთელებს

„მაირანოს თასის“ გათამაშების პირველ ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრები ისვენებდა. ამიტომ მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებია მთავარი კონკურენტების თამაშისათვის. ამ დღეს უნგრეთის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია იტალიის ნაკრებს და გათამაშების ცხრილში ჩაიწერა პირველი ქულა (74:60). ბულგარელმა კალათბურთელებმა დიდი ანგარიშით 101:61 დამარცხეს ჰოლანდიელები. მეორე დღეს, ჩვენმა გუნდმა დამარცხა ჰოლანდია — 108:45, ხოლო უნგრეთმა — ბულგარეთი — 57:49.

მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები კოლექტივების შეხვედრა. ჩვენმა გუნდმა თამაში დაიწყო ასეთი შემადგენლობით: ვალდმანისი, მინაშვილი, ზუბკოვი, სემიონოვი, ბოჩკარიოვი. ინიციატივა თავიდანვე საბჭოთა კალათბურთელებმა იგდეს ხელთ. განსაკუთრებით აქტიურად თამაშობდნენ ზუბკოვი, მინაშვილი და სემიონოვი. დიდხანს ანგარიშში განსხვავება იყო 5-6 ქულა და მხოლოდ პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე შესძლეს ჩვენმა კალათბურთელებმა მისი გაზრდა 10 ქულამდე. პირველი 20 წუთის შემდეგ საადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა შედეგს—29:22.

მეორე ტაიმში ბოჩკარიოვი (რომელიც ძალზე სუსტად თამაშობდა) შეცვალა ტორბანმა. ბულგარელები გადადიან საპასუხო შეტევაზე. ზუბკოვს ცვლის კრუმინში. მალე პერსონალური შეცდომების გამო მოედანს სტოვებენ სემიონოვი და ტორბანი. მათ ადგილს გუნდში იკავებს ვ. მუეინიეკსი და კორნეევი. საბჭოთა ნაკრები ინარჩუნებს პირველი ნახევრის უპირატესობას და იგებს მატჩს ანგარიშით — 67:57.

როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ა. გომელსკი იტყობინება, ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო მინაშვილი. მან გუნდს 17 ქულა მისცა. საერთოდ, აღნიშნავს გომელსკი, „მინაშვილი მოედანზე საუკეთესო მოთამაშე იყო“. სუსტად ჩაატარეს შეხვედრა ბოჩკარიოვმა, ვალდმანისმა და კრუმინშმა. იტალიელებმა ამ დღეს დაამარცხეს ჰოლანდიის გუნდი — 93:61.

მეოთხე ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა იტალიის გუნდი — 74:58, ხოლო უნგრეთმა — ჰოლანდია — 105:53. თასისათვის ბრძოლაში უკანასკნელ დღემდე წაუგებლად მიდიოდნენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის კოლექტივები. გადამწყვეტი ბრძოლა მათ შორის დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით 64:48, რომლებმაც მესამედ მოიპოვეს „მაირანოს თასი“.

ტურისტის შთაბეჭდილებები

სოციალისტური უნგრეთი რომ დიდი სპორტული ქვეყანაა, ეს ყველასათვის ცნობილია. ამის შესახებ როდი ვაპირებ გიამბოთ. მე მინდა „ლელოს“ მკითხველებს გადავცე ის უშუალო შთაბეჭდილებები, რომელიც უნგრეთში ყოფნის დროს განვიცადე ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებთან, საცურაო აუზებთან და ჩოგბურთის კორტებთან.

ჩვენი დელეგაცია 25 კაცისაგან შედგებოდა. ყველანი ახალგაზრდები, და ამიტომაც, ცხადია, სპორტის დიდი მოყვარულები ვიყავით. თბილისიდან გასვლისთანავე ყველას ერთი და იგივე გვაფიქრებდა — ვაი თუ ვერ ვიშოვნოთ ჰიდაობაში მსოფლიო პირველობაზე დასასწრები ბილეთები. ყველას გვაინტერესებდა განთქმული უნგრელი ფეხბურთელების ნახვა მათ მშობლიურ მოედანზე, ხოლო ერთ-ერთ ჩვენგანს—ლასლო პაპის გაცნობა.

პირველი დღეების გატარება ბალატონფელდვარში მოგვიხდა. ეს თითქოს ჩვენს სპორტულ გატაცებას კარგს არას უქადდა. ბალატონფელდვარი პატარა საკურორტო ქალაქია, რომელსაც არ გააჩნია რაიმე სპორტული ტრადიციები. მაგრამ იქ ჩასვლისთანავე გოცებამ შეგვიპყრო: ყველა დასასვენებელი სახლის ეზოში (მათი რიცხვი კი ორ ათეულს აღემატება) არის კარგად მოწყობილი ფრენბურთის ან კალათბურთის მოედანი. როგორც გვითხრეს, ქალაქში საკმაო ტევადობის ფეხბურთის მოედანიც ყოფილა. ამ კურორტზე ხშირად ისვენებენ უნგრელი სპორტსმენები და მათთვის წვრთნის ყოველგვარი პირობებია შექმნილი. ჩვენ იქ ჩავედით გაცხარებული სპორტული სეზონის დროს და ცხადია, სპორტსმენებს ვერ შევხვდით. ამიტომ თვითონ გადავქეცით სპორტსმენებად და ყოველ თავისუფალ დროს ვთამაშობდით ფრენბურთს ან შაგიდის ჩოგბურთს.

ბალატონის ტბაზე კარგადაა განვითარებული საწყლოსნო სპორტი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სახტომმა კოშკმა, რომელიც ნაპირიდან კილომეტრნახევრის დაშორებით თითქმის შუა ტბაშია ჩადგმული, რადგან ტბაში კილომეტრზე მეტს ისე გაიცლით, რომ წყალი მხრებამდე გწვდებათ. კოშკის გარშემო ყოველთვის უამრავი ბავშვი ირევა, ისინი პატარაობიდანვე ეუფლებიან წყალში ხტომის ხელოვნებას.

ტბაზე აქირავებენ, როგორც სასეირნო ნავებს, ისევე სპორტულ ბაიდარებს, კანოებსა და იალქნიან კანჯოებსაც კი. როგორც აგვიხსნეს, სპორტსმენისათვის, რომელიც რომელიმე სპორტული კლუბის წევრია, ჭირის გადახდა სავალდებულო არ არის. საღამოხანს ბალატონზე აურაცხელი ერთადგილიანი და ორადგილიანი ნავი მოჩანს, რომლებსაც ძირითადად ბავშვები და ახალგაზრდები პატრონობენ.

მაგრამ საწყლოსნო სპორტისათვის გაცილებით უკეთესი პირობა თვით ბუდაპეშტშია შექმნილი. ჯერ მარტო დუნაი, ეს უზარმაზარი ცისფერი და საკმაოდ მდორე მდინარე, შესანიშნავ სანაოსნო აღგილს წარმოადგენს. აქ რამდენიმე ათეული საწყლოსნო სადგურია მოწყობილი. ბუდაპეშტის შესანიშნავი აბანოების ღია და დახურული საცურაო აუზები, საუკეთესო სპორტულ ბაზებს წარმოადგენენ, ზოგ მათგანში დიდი მნიშვნელობის შეჯიბრების ჩატარებაც კი შეიძლება.

ქალაქის ყველაზე კარგად მოწყობილი საცურაო აუზი მარგიტის კუნძულზეა. ესაა ვეებერთელა ფართობი რამდენიმე აუზით, რომელთა შორის ზოგი დახურულია. აუზებში ზაფხულის ცხელ დღეებში თავს იყრის თითქმის მთელი ბუდაპეშტის ახალგაზრდობა და განა მარტო ახალგაზრდობა. განსაზღვრულ საათებში მოტორის საშუალებით აუზებში წარმოიქმნება მაღალი ტალღები, რაც ბავშვებს ზღვაში ცურვის ჩვევას უვითარებს.

ჩვენი საერთო აღტაცება გამოიწვია უნგრეთის ცენტრალურმა სტადიონმა, რომელიც ბუდაპეშტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არის მთთავსებული. ეს არის შესანიშნავი მოედანი, რომლის მსგავსი მანამდე არ გვინახია. სტადიონი მხოლოდ სანახევროდაა დამთავრებული. ტრიბუნები ნახევარ წრედ ერტყმის მოედანს. მასზე 110.000 მაყურებელი ეტევა. მეორე ნახევრის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა რიცხვი ორჯერ გაიზრდება. გვიამბეს, რომ მიუხედავად სტადიონის ასეთი სიდიდისა, ფეხბურთის მატჩების დროს ბილეთების შოვნა მაინც შეუძლებელია. თუმცა უნგრეთის ნაკრების მსოფლიო პირველობაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, მაყურებელთა რიცხვი მკვეთრად იკლო. მსოფლიო პირველობიდან დაბრუნებულ უნგრეთის ნაკრებს სრული შემადგენლობით ჩაუტარებია შეხვედრა ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან. მოედანზე გუნდების გამოსვლისთანავე პირამდე სავსე ტრიბუნებზე ისეთი სტვენა და ღრიანცელი ატეხილა, რომ თამაშის დაწყება შეუძლებელი გამხდარა, როცა მატჩი მაინც დაიწყო, მაყურებელთა დიდმა ნაწილმა სტადიონი დატოვა. ამჟამად სტადიონებზე ხალხის მისაზიდად მატჩების დღეს სისტემატურად ტარდება ლატარია, რომელსაც ფართო რეკლამას უწევენ. მიუხედავად ამისა, მატჩები მაინც სანახევროდ ცარიელ სტადიონებზე მიმდინარეობს, რაც ნამდვილად დიდი სასჯელია, რომელიც ხალხმა დაადო თავის საყვარელ ფეხბურთელებს!



სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მოწყობილია კომფორტაბელური ოთახები — გასახდელები, ჟურნალისტთა დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, რომელიც სინამდვილეში მთელ საავადმყოფოს წარმოადგენს და სხვა. ისინი უნგრელთა გამოჩენილი სპორტსმენების სურათებითა და ბიუსტებითაა მორთული.

ბუდაპეშტის სტადიონი აშენებულია 1948-1953 წლებში ცნობილი უნგრელი არქიტექტორის დავიდ კაროის პროექტით. სტადიონის მშენებლობაში ძირითადად ახალგაზრდები ღებულობდნენ მონაწილეობას. ისინი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ლამეებს ათენებდნენ და ისე აშენებდნენ.

ბუდაპეშტის სტადიონზე საშუალება გვქონდა დავსწრებოდით ფეხბურთის მატჩს უნგრეთის პირველობაზე „ფერენცვაროშისა“ და „ვაშაშის“ გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, მატჩი მაინც დღის სამ საათზე დაიწყო. ეს დრო ჩვენთვის ზედგამოჭრილი იყო, რადგანაც საღამოს მსოფლიო პირველობის ფინალს უნდა დავსწრებოდით ჰიდაობაში. აგვიხსნეს, რომ ბუდაპეშტში თურმე ფეხბურთის თამაში შუადღისით ხდება, რათა მაყურებელს თავისუფალი საღამო დარჩეს მსჯელობისა და დასვენებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სტადიონის ტრიბუნები ძალზე მაღალაა, თამაში ყველა ადგილიდან კარგად ჩანს. ერთნაირად ვხედავდით პირველი რიგიდან და ორმოცდამეთორმეტედანაც. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბილეთების ფასში იქ განსხვავება არაა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ფერენცვაროშის“ გუნდმა. მიუხედავად ამისა, მთელი სტადიონი თითქმის „ვაშაშის“ გულშემატკივრები იყვნენ და, როდესაც ჩვენ კარგად მოთამაშე „ფერენცვაროშელებს“ ტაშს ვუკრავდით, ერთგვარი გაკვირვებით გვიყურებდნენ ხოლმე. „ვაშაშის“ გუნდიდან განსაკუთრებით მოეწონა ახალგაზრდა მეკარე, რომელიც ამ სეზონში მეორედ თუ მესამედ იდგა თურმე კარში. მან რამდენიმე ნაღდი გოლისაგან გადაარჩინა თავისი გუნდი.

არ შეიძლება უნგრეთის სპორტის შესახებ ვილაპარაკოთ და გვერდი ავუაროთ უნგრულ სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთი „საბადსპორტ“ („თავისუფალი სპორტი“) და ჟურნალი „სპორტი“. „საბადსპორტი“ არის ჩვენი „ლელოს“ ფორმატის რვაგვერდიანი გაზეთი, ხოლო „სპორტი“ მთლიანად ილუსტრირებული ჟურნალია, რომელიც ბეჭდავს სურათებს მცირეოდენი მინაწერებით. ჩვენი იქ ყოფნის დროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყვნენ საბჭოთა მოჭიდავეები, ჟურნალმა ორ ნომერში მარტო გივი კარტოზიას შესახებ ათამდე სურათი და ორი კარიკატურა გამოაქვეყნა.

მე პირადად გავიცანი გაზეთ „საბადსპორტის“ რედაქტორი და რამდენიმე თანამშრომელი, რომელთაც აღტაცებით მოიხსენიეს ქართველი მოჭიდავეები. სიყვარულით გაიხსენეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. მისი წარუმატებლობით ამჟამად ძალიან ნაწყენები ვართო,—ღიმილით მითხრა ერთმა თანამშრომელმა.

ვ. ბოგოლაშვილი

* * *

სურათზე: მარგიტის კუნძულის ერთი კუთხე. ქვევით, მსოფლიო პირველობის მონაწილენი შეჯიბრების წინ, შუაში გ. კარტოზია.

ოჩამჩირე

ოჩამჩირის იპოდრომზე ამას წინათ ჩატარდა შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ გულრიფშის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების ცხენოსნები.

ისინდის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გალისა და ოჩამჩირის გუნდები. პირველი ადგილი მოიგეს მასპინძლებმა. სამაგიეროდ, გალელმა ცხენოსნებმა რევანში აიღეს ცხენბურთში.

საშუალო კლასის დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში საუკეთესო აღმოჩნდა ოჩამჩირელი მხედარი ვ. ლოგუა. უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში გაიმარჯვა ვ. ქვაჩანამ (გალის რაიონი). ჩხვის ზოლზე გამოვიდა 11 ცხენოსანი. მათ შორის უძლიერესი [illegible] (ოჩამჩირის რაიონი).

დიდი [illegible] ჯიბრებამ მარულაში 8 და 10 კილომეტრზე. ორივე დისტანციაზე გაიმარჯვეს ოჩამჩირელმა მხედრებმა — ვ. გვარამაიამ (8 კმ) და გ. შინკუბამ (10 კმ).

გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ოჩამჩირელმა ცხენოსნებმა.

ვ. დოხნაძე

ზუგდიდი

ზუგდიდის იპოდრომზე ჩატარდა რაიონის პირველობა ცხენოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაში იყო: ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, თარჩია, მოქნევა, დოღი 2 და 4 კილომეტრზე და მარულა 8 კილომეტრზე.

ცხენბურთში დაუმარცხებლად განვლო ტურნირი სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობის გუნდმა. ყაბახში პირველი ადგილი დაისაკუთრა სოფელ ორჯონიკიძის გუნდის წევრმა ვ. ქანთარიამ.

სოფელ კახათის კოლმეურნეობის ცხენოსნებმა გაიმარჯვეს ისინდში, მარულაში 8 კილომეტრზე და დაიკავეს გუნდური პირველი ადგილი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობაში მოხუც კოლმეურნეთა მონაწილეობამ. ახალგაზრდა მხედრებს ტოლს არ უდებდნენ კახათელი კოლმეურნე 85 წლის ი. აკობია და სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის წევრი კ. მიქაია. ამ უკანასკნელმა პირველი ადგილი დაიკავა მოქნევაში.

ა. ბაკურაძე

ბორჯომი

ამას წინათ კომკავშირის ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა ფიზკულტურის კომიტეტსა და კულტურის სახლთან ერთად შეხვედრა მოუწყო გამოჩენილ ქართველ მოთხილამურეს სპორტის ოსტატ კობა წაქაძეს. კულტსახლის ფოიეში მოეწყო მის მიერ მოპოვებული ჯილდოების გამოფენა.

სპორტსმენის ცხოვრების შესახებ ილაპარაკა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ამილახვარმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ კომკავშირის რაიკომის მდივანი ა. კალმახელიძე, სპორტსმენთა სახელით — ნ. გელაშვილი და სხვ.

დასასრულ სპორტის ოსტატმა კ. წაქაძემ დამსწრეთ მოუთხრო მისი გამოსვლების შესახებ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, რის შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება.

ა. გელაშვილი

გურჯაანი

სოფელ ჩუმლაყის საჭიდაო მოედანზე ამ დღეებში ჩატარდა კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ამხანაგური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩუმლაყისა და კალაურის საუკეთესო ფალავნები. წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს უ. ხუბაევმა, შ. რუაძემ (ჩუმლაყი), ზ. ნაპირელმა, შ. ნაპირელმა, ბ. ზარდიაშვილმა (კალაური) და სხვ.

ი. ოდიშელიძე

ორი მაჯჩი, ორი დამარცხება

თბილისი. 18 სექტემბერი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი) — 0:2 (0:1).

„სპარტაკი“ — მათევოსიანი; ხაჩმანუკიანი, ფოლადიანი, სემერჯიანი; გავლაკიანი, ბაბაიანი; ბეგლარიანი, კეგიანი, ოვივიანი, ანტონიანი, აბრამიანი.

„ბურევესტნიკი“ — რუხაძე (კარაპეტოვი); გაგუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, სიჭინავა; იაშვილი, ავაქოვი (ჩიჩუა), ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ბეხმეტიევი.

მსაჯი მ. ბელიანინი (მოსკოვი).

გუნდებმა თამაში დაიწყეს დაზვერვით, რაც მალე ნერვიულობაში და ბურთის უმისამართო მოგერიებაში გადაიზარდა. ძალების მოსინჯვის შემდეგ პირველი იერიში თბილისელებმა მიიტანეს მოწინააღმდეგის კარზე და სტუმრები დაჯარიმდნენ. კართან ჩაწოდებულ ბურთს თავი ააცილა ურთქმელიძემ. იმავე წუთში ღია კარს დააცდინა იაშვილმა. ერევნელთა სპასუხო იერიშის დროს გარღვევაზე გასული ანტონიანი მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ რუხაძემ შეძლო ამ საშიშროების უვნებელყოფა. მალე წოწელიას უყურადღებობით ისარგებლა ბეგლარიანმა და ანგარიში გახსნა.

გატანილმა გოლმა უფრო გაამწვავა თამაში, მასპინძლები მთლიანად დასახლდნენ ერევნელთა ნახევარზე. მე-20 წუთზე ზეინკლიშვილმა მარჯვენა მხრიდან მოატყუა ორი მცველი, მეკარე მათევოსიანი და ძლიერად დაარტყა, ფოლადიანმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე თბილისელებს ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა და ორჯერვე ვერ გამოიყენეს იგი.

თუ პირველი ნახევარი თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობით ჩატარდა, ამას ვერ ვიტყვით მეორე ნახევარზე. დაიკარგა კოლექტიური თამაში, დაირღვა დაცვის ხაზი, მთელი ძალით ჩაება ბრძოლაში მეკარე რუხაძე, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. ავაქოვის ჩიჩუათი შეცვლის შემდეგ თბილისელებმა რამდენიმე შეტევა განავითარეს, მაგრამ შუა ტაიმში გოლის გატანის კიდევ ერთი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ჩიჩუამ.

მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მეკარე კარაპეტოვს, რომელმაც შეცვალა ტრავმირებული რუხაძე, ხელიდან გაუვარდა ბურთი, წოწელიას დაასწრო ანტონიანმა და გაიტანა გოლი.

მასპინძლებმა, რომლებმაც განსაკუთრებით ცუდად ჩაატარეს მეორე ტაიმი, განიცადეს დამარცხება ანგარიშით 2:0.

ლ ე ნ ი ნ ა კ ა ნ ი. (ტელეფონით). 18 სექტემბერს აქ გაიმართა მატჩი IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „შირაქმა“ მიიღო ქუთაისის „ლოკომოტივი“. პირველ ნახევარში მასპინძლებს თამაში უხდებოდათ ძლიერი ქარის მიმართულებით, მაგრამ უპირატესობა მაინც სტუმრების მხარეს იყო. გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგეს კახიანმა და გომელაურმა. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს ლენინაკანელებმა — 1:0.

მეორე ნახევარში თამაშს ფაქტიურად გამოეთიშა ჟორდანია, შეტევამ დაკარგა სიმწვავე, რითაც კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და კიდევ ორი გოლი გაიტანეს.

მატჩი დამთავრდა ლენინაკანელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოპულარული ფეხბურთელის სახელობის თასი

ფოთში, სადაც 25 წლის წინათ დაიწყო გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის — ბ. პაიჭაძის სახელოვანი სპორტული ბიოგრაფია, გათამაშდა მისივე სახელობის თასი ფეხბურთში.

ფინალში გავიდნენ მიმდინარე წლის საქართველოს თასის გათამაშების ფინალისტი — „განთიადი“ და ადგილობრივი „ვოდნიკი“. შეხვედრას მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო, რომელთა იწტერესი იმანაც გაზარდა, რომ მათ შორის იყო თვით ბორის პაიჭაძე, ხოლო თამაშს სჯიდა მისი კოლეგა გ. ანთაძე.

ფინალური შეხვედრა მოიგეს „განთიადის“ ფეხბურთელებმა — 5:0. გამარჯვებული გუნდის კაპიტანს ბ. პაიჭაძემ გადასცა მისი სახელობის სპატიო თასი და პირადი საჩუქარი.

ა. ლომაია

* * *

სურათზე: ბ. პაიჭაძე „განთიადის“ გუნდის კაპიტანს ულოცავს გამარჯვებას.

რა გვიჩვენა ჩემპიონატმა

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

მაღალი მაჩვენებლებით აღინიშნა შეჯიბრების უკანასკნელი დღე. სამხტომში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა თხუთმეტი სპორტსმენი ვ. ჩხეიძემ ოსტატის შედეგით (15,59 მეტრი) მოიპოვა ჩემპიონობა. პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგები აჩვენეს მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულებმა აფხაზეთის წარმომადგენელმა ვ. ალექსანდროვმა — 15,13 და ლ. დარახველიძემ (თბილისი) — 14,83 მ.

აჭარელმა მ. ტუღუშმა, რომელმაც წინა დღეს პირველი ადგილი აიღო 110 მეტრზე თარჯრბენში ახალი წარმატება მოიპოვა ჩემპიონატის ფინიშზე. გამოდიოდა რა ათჯიდში, თავის საყვარელ სახეობაში თარჯრბენში, 110 მეტრი გაირბინა 14,5 წამში და 0,1 წამით გააუმჯობესა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს რეკორდიც. ათჯიდში გამარჯვებული გამოვიდა ო. ხოლოდოკი (თბილისი), რომელმაც 5.915 ქულა მოაგროვა.

მძლეოსნობის ეს სახეობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. უკვე არ ერთი წელია რესპუბლიკიდან ამ სახეობაში პირველი თანრიგის შედეგს აჩვენებს მხოლოდ ხოლოდოკი. ალბათ ყველას ახსოვს, რომ სწორედ მან მოუტანა რესპუბლიკის მძლეოსნებს პირველი ადგილი ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე, რადგან მისმა მოწინააღმდეგეებმა ვერ შეასრულეს ჩასათვლელი ნორმატივი. ცხადია მრავალჭიდი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საკავშირო გუნდურ პირველობაზეც. რესპუბლიკაში ხოლოდოკის გარდა საიმედო რეზერვი ჯერჯერობით არ ჩანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მწვრთნელები სუსტად მუშაობენ ამ სახეობის განვითარებისათვის. რესპუბლიკურ პირველობაზე მხოლოდ თბილისისა და აჭარის წარმომადგენლებმა მისცეს ჩათვლები თავიანთ გუნდებს.

საერთოდ, ამ პირველობამ წინა წლებთან შედარებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ნაჩვენებ იქნა სპორტის ოსტატის ორი, პირველი თანრიგის 27, მეორე თანრიგის— 108 შედეგი, მესამე თანრიგი აჩვენა 133 სპორტსმენმა. ცხადია დადებითი შედეგი გამოიღო ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ გამოცდილი მწვრთნელების პერიფერიებში მივლინებამ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეჯიბრებაზე ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი სტარტზე ისეთი სპორტსმენების გამოსვლას, რომლებმაც მესამე თანრიგის ნორმატივის ჩვენებაც კი ვერ შესძლეს.

განსაკუთრებით საგანგაშოა ტექნიკურად რთულ სახეობებში მონაწილეთა სიმცირე. 110 მ თარჯრბენში სტარტზე გამოვიდა 7 მონაწილე, 400 მ თარჯრბენში, ჭოკით ხტომაში, შუბის ტყორცნაში ქალთა შორის და 3.000 მეტრზე წინაღობებით — 4-4 მონაწილე, ხოლო 200 მეტრზე თარჯრბენსა და 800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის — 2-2. მათ შორის 400 მეტრზე თარჯრბენში, შუბის ტყორცნაში, 3.000 მეტრზე წინაღობებითა და 800 მეტრზე რბენაში ვერავინ აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი.

შეჯიბრებებში I ჯგუფში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, მეორეზე გამოვიდნენ აჭარის სპორტსმენები, რომლებმაც 14.609 ქულით გაუსწრეს მესამე ადგილზე გამოსულ აფხაზეთის გუნდს. რაზე მეტყველებენ ეს ფაქტები? აფხაზეთში ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ მაღალთანრიგოსანი მძლეოსნების აღზრდისათვის, თუმცა მათ ამ საქმეში საგრძნობლად უშლით ხელს კეთილმოწყობილი ბაზების სიმცირეც. უფრო შორს წავიდნენ ბოლო ადგილზე გამოსული სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები. მათ 20 მონაწილის ნაცვლად შეჯიბრებაზე მოავლინეს 11 სპორტსმენი. ამათგან გუნდს ჩათვლა მისცა მხოლოდ ერთმა.

ორიოდე სიტყვით მსაჯობასა და შეჯიბრების ორგანიზაციაზე. მსაჯობა ძირითადად დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ბრიგადამ, რომელიც რბენებს სჯიდა, თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. იგი არ აღრიცხავდა ფინიშზე მეტრაჟს, რაც ხშირად იწვევდა გაუგებრობას და ძნელი ხდებოდა სხვაობათა ზუსტი დადგენა წამმზომებში. უკანასკნელ დღეს 10 კმ რბენაში არ აწარმოებდნენ წრეების დროთა ფიქსირებას, რამაც გამოიწვია ის, რომ გამარჯვებულ სერგეევს ერთი წრით ადრე დაამთავრებინეს ფინიში, ხოლო შემდეგ, როცა მსაჯთა შეცდომა გამოვლინდა, უკანასკნელი წრის საშუალო შედეგი შეიტანეს ოქმში. ეს იმანაც გამოიწვია, რომ რესპუბლიკის კვალიფიციურ მსაჯთა ნაწილმა თავი აარიდა მსაჯობას, რადგან სექტორებზე უკან დასდევდნენ თავიანთ აღსაზრდელებს, უწევდნენ კონსულტაციას, ხელს უშლიდნენ მსაჯთა ნორმალურ მუშაობას, რაც წესით აკრძალულია. ეს განსაკუთრებით ითქმის ვ. ლაბუნსკის, კ. ნედაშკოვსკის, შ. კილაძის, ე. გაგუას, ა. კონსტანტინოვის, ე. გოკიელის, ვ. შმაკოვის შესახებ. შეჯიბრების წესების თანახმად კი მწვრთნელს შეჯიბრების დროს კონსულტაციისა და სექტორებზე შესვლის უფლება არ აქვთ.

საკმაოდ მოიკოჭლებდა შეჯიბრების ორგანიზაციაც. ყველა დიდ შეჯიბრებაზე აუცილებლობას წარმოადგენს მეტეოპუნქტების მოწყობა, რომელიც განსაზღვრავს ქარის ძალასა და მიმართულებას, რადგან მათი მაჩვენებლების გარეშე არ შეიძლება საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამტკიცება. შეჯიბრებაზე კი ამ ხელსაწყოთა მოწყობისათვის არავის უზრუნია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რატომღაც კარგახანია ამოვარდა რესპუბლიკური შეჯიბრებების პრაქტიკიდან, ესაა პროგრამები, რომელშიც ნაჩვენები იქნება წინა შეჯიბრებაზე გამარჯვებულთა გვარები სახეობების მიხედვით, მათი შედეგებით, რეკორდების ცხრილი, შეჯიბრების კალენდარი და სხვ.

ლ. გიორგაძე.

საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
ო. გელაშვილი.

* * *

ჩემპიონატის მეოთხე დღის ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქალები: რბენა 800 მ. — გ. ზრაჟევსკაია (თბ. I) — 2.22,4; ტ. ბერეგოვაია (გორი) — 2.29,8; ხუთჭიდი — ლ. ვოლოშინა (თბ. I) — 3679 ქულა, ნ. ბადულინა (ფოთი) — 3614; ვ. ლემენჩუკი (თბ. I) — 3576; ესტაფეტა 4×100 მ. — თბილისი I — 50,1; აჭარა — 52,1, თბილისი II — 52,3.

ვაჟები: 400 მ. — ნ. კლუევი (თბ. I) — 49,2; ლ. ნიკოგოსოვი (თბ. II) — 50,8; ბ. კიუტი (აფხაზეთი) — 51,1; 1500 მ. — ნ. თვაური (თბ. II) — 4.00,6; ვ. პოპოვი (თბ. I) — 4.04,6; ვ. ივანოვი (თბ. I) — 4.08,8. ხტომა სიგრძეზე — რ. კვაჩახიძე (თბ. I) — 7,13 მ. ჩხეიძე (თბ. I) — 7,02; ა. ერინი (აჭარა) — 6,76. ესტაფეტა 4×100 მ. — თბილისი I — 42,9. თბილისი II — 43,3; ქუთაისი — 44,6.

მეორე ჯგუფში გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გორის, ზუგდიდისა და რუსთავის გუნდებმა. სპორტული სკოლების ჯგუფში— თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის კოლექტივებმა.

ვ. ალლიანი

სიცოცხლე არ მწამს ბრძოლის გარეშე

ქედზე ღრუბელი დაეშვა ბინდად,—
ჰარაშის მთები მოვითარეშე...
მოვარლვევ დელგმას, — მე ბრძოლა
მინდა,
არაფერი მწამს ბრძოლის გარეშე.

გულო აზვავდი! გაგლიჯე მკერდი!
შეისისხლხორცე ჩემი მხარე შენ...
მკლავო, ოდესმე თუ დამბერდი,
როგორ ვიცოცხლო ბრძოლის
გარეშე.

ქარო, მოეშვი ქედებს ბურიანს,
ზეცაო, ელვის ხმალი გალესე!
დამიხვდით! თქვენთან ბრძოლა
მწყურიან,
სიცოცხლე არ მწამს ბრძოლის
გარეშე.

ვსვამ ნაბდის ქუდით წყაროს
წყალს წმინდას,
წვდები ვარსკვლავებს —
მთვარის ფარეშებს...
მთებთან ჭიდილი და ბრძოლა მინდა,
რა გამაჩერებს ბრძოლის გარეშე.

ძმად მხვდება ყველა გვარი და
თემი, —
გულო, ილხინე, გაიხარე შენ...
წუთითაც არ მწამს სიცოცხლე ჩემი
სტიქიონებთან ბრძოლის გარეშე.

ლომეული

მე-3 გვ. № 113 (1283)

თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. იაკობაშვილი სწავლასთან ერთად გატაცებულია ძერწვით. მას განსაკუთრებით იტაცებს სპორტული თემა. ამ სურათზე აღბეჭდილია პატარა მძერწავი მუშაობის დროს.

პრეტენდენტები

ახლა უკვე ყველამ იცის, რომ პორტოროჟის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტებად გამოავლინა საბჭოთა გროსმაისტერები მიხეილ ტალი, ტიგრან პეტროსიანი, იუგოსლაველი გროსმაისტერი სვეტოზარ გლიგორიჩი, ისლანდიელი გროსმაისტერი ფრედერიკ ოლაფსონი და ოსტატები ამერიკელი ბობი ფიშერი და უნგრელი პალ बენკო.

პრეტენდენტების ტურნირი ჩატარდება ოთხ წრედ, ე. ი. ტურნირის ყოველი მონაწილე ერთმანეთს ოთხ-ოთხჯერ შეხვდება. პირველ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე 1960 წელს შეეცილება მიხეილ ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის სახელში. ამიტომ საინტერესოა გავეცნოთ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს.

პორტოროჟის ტურნირის დაწყების წინ თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა მ. ტალის მწვრთნელი ოსტატი ა. კობლენცი. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორი ძალით ითამაშებს ტალი პორტოროჟში, მან გვიპასუხა:

— თუ არ გაგეცინებათ, სინამდვილეს გეტყვით: ტალი პირველ ადგილს დაიკავებს. ეს სიტყვები გამართლდა. გასაკვირი არაა მისი ბრწყინვალე წარმატება. იგი ხომ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონია. მისი თამაში სხარტი, მწვავე და ღრმა კომბინაციურია. ტალს ფენომენალური მეხსიერება გააჩნია. იგი შეხვედრია პრეტენდენტთა ტურნირის ყველა მონაწილეს, გარდა ვ. სმისლოვისა. საერთო აღიარებით 22 წლის მ. ტალი გამარჯვების ყველაზე უფრო სერიოზული კანდიდატია.

29 წლის ტ. პეტროსიანი უკვე მესამედ მოხვდა პრეტენდენტების ტურნირში. რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ ნიჭიერი მოჭადრაკე კვლავ უძლიერესთაგანია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ 1952 და 1955 წლების საერთაშორისო ტურნირებზე პეტროსიანს არც ერთი პარტია არ წაუგია, მხოლოდ პორტოროჟში შეძლეს მისთვის ერთი პარტიის მოგება.

სავსებით დამსახურებულად მოიპოვა პრეტენდენტებში თამაშის უფლება ს. გლიგორიჩმა. უკანასკნელ წლებში იუგოსლაველი გროსმაისტერი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. მან პირველი ადგილი გაიყო ს. რეშევსკისთან დალასის მატჩ-ტურნირზე, ხოლო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოჭადრაკეთა მატჩში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა. გლიგორიჩი იუგოსლავიის მრავალი გზის ჩემპიონია. [illegible] ერ-ერთი გზიანი შემომხელველად საერთაშორისო საერთოებში. გლიგორიჩი 35 წლისაა.

ისლანდიელმა ფრედერიკ ოლაფსონმა (23 წლისაა) პორტოროჟის ტურნირის დროს მიიღო გროსმაისტერის წოდება. მის აქტივშია პირველი ადგილი რეიკიავიკის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც უკან ჩამოიტოვა გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი და საერთაშორისო ოსტატი გ. ილივიცკი. მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი მაღალ შეფასებას აძლევს ისლანდიელის საჭადრაკო ნიჭს და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ყველას ინტერესს იწვევს 15 წლის ბობ ფიშერის მონაწილეობა პრეტენდენტთა ტურნირში. რა ეპიტეტებით არ ამკობენ მას ამერიკელები: „ჭადრაკის მოცარტი“, „გენია“ და სხვ. ჭაბუკს უფიგილო ქებამ თავბრუ დაახვია, გაამაყდა და იქამდე მივიდა, რომ ერთხელ პორტოროჟში კორესპონდენტები შეკრიბა და განუცხადა:

— რატომ წერთ, რომ მე ექვსეულში შეიძლება არ მოვხვდე. იცოდეთ, რომ მე ვიქნები გამარჯვებულთა შორის!..

პორტოროჟში მოპოვებული წარმატებისათვის ფიშერს, ისე როგორც बენკოს, მიენიჭება გროსმაისტერის სახელი.

უნგრელი პალ बენკო 30 წლისაა. პორტოროჟში მან პირველად მოიპოვა დიდი წარმატება. बენკო პოზიციური მოჭადრაკეა. ძნელია იმის თქმა, თუ რას იზამს იგი პრეტენდენტებთან შეხვედრებში.

ჩვენ არ შევეხებით ვ. სმისლოვისა და პ. კერესის შანსებს, რადგან მათ შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. ცნობისათვის: ყველაზე „უხუცესი“ პრეტენდენტებს შორის იქნება პ. კერესი (42 წლის) და ვ. სმისლოვი (37 წლის).

თ. თამარაშვილი

არის თუ არა რეკორდი?

ა. ჰარი

როგორც ამას წინათ ვიტყობინებოდით, 100 მეტრზე რბენაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია გერმანელმა სპორტსმენმა, 21 წლის ა. ჰარიმ, რომელიც ქალაქ ლეფერკუზენის საკლუბო გუნდის „ბაიერის“ წევრია. სპორტსმენმა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა ფრიდრიჰსჰაფენში ჩატარებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე 100 მეტრი გაირბინა ზუსტად 10 წამში.

აღსანიშნავია, რომ ოთხი ოფიციალური წამმზომიდან ორმა აღნიშნა 10,0 წამი, ხოლო ორმა — 9,9 წამი. ამრიგად, საბოლოო შედეგი — 10,0 წამი 0,1 წამით აღემატება მსოფლიო რეკორდს, რომელიც დამყარებულ იქნა 1956 წელს ამერიკელი ზანგების ვ. უილიამსის, ა. მერჩისონისა და ლ. კინგის მიერ.

დაამტკიცებენ თუ არა ჰარის შედეგს მსოფლიო რეკორდად?

მძლეოსნობის ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა სპორტსმენს უჩვენებია მსოფლიო რეკორდზე უფრო კარგი შედეგი, მაგრამ იგი ან არ დაუმტკიცებიათ, ან საკმაო დავის შემდეგ შეუტანიათ მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ასე იყო 1911 წელს, როცა გერმანელმა სპრინტერებმა ე. კეტეერმა, ე. კენმა და შემდეგ რ. რაუმ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე — 10,8 წამზე 0,3 წამით უკეთესი შედეგები აჩვენეს. ასევე 1926 წელს მსოფლიო რეკორდათ არ იქნა აღიარებული გერმანელი ხ. კერნიგის მიღწევა — 10,3.

სადისკუსიო გახდა ჰარის შედეგიც, რადგან სპრინტერულ დისტანციაზე რეკორდის დასამტკიცებლად მხედველობაში მიიღება ქარის სიძლიერე, სარბენი ბილიკის ზუსტი სიგრძე, მისი დახრილობა, წამმზომების ხარისხი, სტარტის სიზუსტე. იყო თუ არა ყველა ეს პირობა დაცული ფრიდრიჰსჰაფენის სტადიონზე?

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, სარბენი ბილიკის დახრილობა ფინიშის მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს 1:1000 ე. ი. სხვაობა სტარტსა და ფინიშს შორის დაშვებია 10 სანტიმეტრამდე. ფრიდრიჰსჰაფენში კი როგორც შემოწმებამ ცხადყო, იგი 11 სანტიმეტრამდე აღწევდა. სწორედ ამ უმცირეს ერთეულს შეუძლია გავლენა იქონიოს ჰარის შედეგის მსოფლიო რეკორდად აღიარებაზე.

ასეთივე უმნიშვნელო ერთეულის გამო, 1936 წელს მსოფლიო რეკორდად არ დაამტკიცეს ოუენსის შედეგი — 10,2 წამი, რადგან გაზომვისას გამოირკვა, რომ სპორტსმენს 100 მეტრის ნაცვლად გაერბინა 99 მეტრი და 98 სანტიმეტრი. ოუენსის მიღწევა მხოლოდ 2 წლის შემდეგ იქნა აღიარებული მსოფლიო რეკორდად.

„ის წამმზომები, რომლებმაც ჰარის მიღწევა აღნიშნეს, წინასწარ არ ყოფილან შემოწმებული გფრ-ის მძლეოსანთა კავშირის მიერ. ამასთან ჰარის ეს სენსაციური შედეგი ნაჩვენებ იქნა არა შეჯიბრების დროს, არამედ დამატებით გარბენში, რომელიც მისთვის სპეციალურად მოუწყვიათ. ამდენად შედეგის რეკორდად დამტკიცება საეჭვოა“—განაცხადა პრეს-კონფერენციაზე დასავლეთ გერმანიის მძლეოსანთა კავშირის თავმჯდომარემ მ. დანცმა.

ახალ დარბაზში

კასპის ახალ საჭიდაო დარბაზში შედგა ამხანაგური მატჩი ქართულ ჭიდაობაში გორის საკონსერვო ქარხნისა და ადგილობრივ კოლმეურნე სპორტსმენთა შორის, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 40 წლისთავს. უმჩატეს წონაში გორელმა ნავროზაშვილმა ქულებით მოუგო ბერიაშვილს. მჩატე წონაში კასპელთა სპორტულ ღირსებას იცავდა რესპუბლიკური ჩემპიონატის პრიზიორი ლ. კაციაშვილი. მან ერთ წუთში ბეჭებზე დასდო გორელი გაგლოშვილი. სულ ათი შეხვედრიდან ხუთი დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით, ხუთი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა.

ი. ტყემალაძე

სექტემბერი

26 - 27 - 28 საერთაშორისო შეხვედრა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ითამაშებს თბილისის „დინამოსთან“, „ბურევესტნიკთან“ და საქართველოს ნაკრებთან

რედაქტორი ი. უგულავა.

დღეს თბილისში

ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებისათვის. „დინამო“ (თბილისი)-„შახტორი“ (სტალინო). „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 17 საათზე.

* * *

ფრენბურთი. ქალაქის პირველობის I ტური. მონაწილეობენ უძლიერესი კოლექტივები. საზოგადოება „განთიადის“ მოედნები. დასაწყისი 11 საათზე.

* * *

მძლეოსნობა. კომკავშირელ მუშაკთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, „დინამოს“ სტადიონი, დასაწყისი 11 საათზე.

* * *

წყალში ხტომა. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თასზე. ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზი. დასაწყისი 16 საათზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს სჭირდება
მგეჭდავი მემანქანე
(რუსულ ენაზე)
ცნობისათვის მიმართეთ ჯაფარიძის № 4, ტელეფონი 3-50-84.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები რედაქტორის 3—89—62, მდივნისა და განყოფილებების 3—90—34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06433